

გ. ბერია

ივანე ჯავახიშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ.ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი,  
საქართველოს საინჟინრო აკადემია

უაკ 552

**ატმოსფერული კატასტროფები და მათი გამომწვევი მიზეზების ამოხსნა ატმოსფეროში ფარული ენერჯის არსებობის დაშვებით.**

მეტეოროლოგიური კატასტროფები თავისი დამანგრეველი ძალით ბევრად წინ უსწრებს ნებისმიერ სხვა სტიქიურ უბედურებებს. ყოველწლიური ზარალი ტროპიკული ციკლონებისა, ქარიშხლებისა და წყალდიდობებისაგან აღწევს ასეულობით მილიარდი დოლარის ღირებულებას; მათგან უკვე დაიღუპა რამდენიმე მილიონი ადამიანი. ისტორიის მატანეში ინახება მრავალრიცხოვანი ტრაგიკული და დრამატული ეპიზოდები იმ კატასტროფებისა, რაც მოქონდა სტიქიის შემოტევებს დასახლებულ რეგიონებსა და ფლოტილიებზე. მაგრამ კატასტროფების ეპოქა ჯერ კიდევ არ ჩაბარებია ისტორიას. მიუხედავად გრანდიოზული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა თანამედროვე ცივილიზაცია ძველებურად უძღვრება სტიქიის წინაშე. კატასტროფები გრძელდება [1]. ამის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც ერთი მაგალითი:

2005 წელი შეერთებულ შტატებში ტროპიკულმა ციკლონმა “ქეთრინმა” წყალში ჩაძირა ქალაქი ახალი ორლეანი. 10 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, ნახევარმა მილიონმა უშველა თავს საკუთარი სახლებიდან გაქცევით. ზარალმა გადაჭარბა 100 მილიარდ დოლარს! ალბათ ბევრს ახსოვს კიდევაც ამ ტრაგედიის დრამატული გაგრძელება: “ქეთრინის” შემდეგ ამერიკის ნაპირებთან გამოჩნდა მეორე ციკლონი, სახელად “რიტა”. შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოვიდა ტელევიზიით და ასე მიმართა ამერიკელ ხალხს: მე ეკლესიაში ვიყავი და ღმერთს შევევედრეო, ღმერთო არ გამოუშვა ჩვენსკენ “რიტაო”. მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანაც კი უძღვრება ატმოსფერული სტიქიის წინაშე.

კატასტროფები მეორდება სისტემატურად. მათი შეტევები მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის აღმოჩნდეს ისეთი კატასტროფაც, რომელიც საფრთხეს შეუქმნის თვით ცივილიზაციის არსებობასაც კი. მთავარი მიზეზი ამგვარი საგანგაშო მდგომარეობის არის ენერჯისა და ინფორმაციის დეფიციტი. ჩვენს ცივილიზაციას არ გააჩნია ენერჯეტიკა სტიქიის შემოტევის შესაჩერებლად. მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ ამოხსნა ამოცანა კატასტროფების გამომწვევი მიზეზებზე. მრავალრიცხოვანი თეორიები და პროგრამები ძირითადად წარმოადგენს საინჟინრო-ტექნოლოგიური მიმართულებების ვარიაციებს ცნობილი ფუნდამენტური კანონების დიაპაზონში (მაგალითად, პროგრამა შტორმფურც) [1]. ისინი გამორიცხავენ ჯერ კიდევ უცნობი კანონების არსებობის შესაძლებლობას. ამ მეთოდოლოგიამ გადაწყვეტი შედეგები ვერ მოგვცა. ეს კი საფუძველს გვაძლევს ეჭვი ავიღოთ, რომ ცოდნის იმ დიაპაზონში, რომელსაც ფლობს თანამედროვე მეცნიერება, ამოცანის ამოხსნა საერთოდ არ არსებობს. საჭიროა კლასიკური კანონების ჩარჩოებიდან გამოსვლა და ახალი ფუნდამენტალურ-კონცეპტუალური კანონების ძებნა.

კოსმოლოგებმა უკვე მოგვცეს ამგვარი ოპერაციის სანიშნო მაგალითი. როგორც კი დიდი აფეთქების კონცეფცია აღმოჩნდა მწვავე წინააღმდეგობაში რეალობასთან, დაუყონებლივ შეიქმნა ახალი, ნამდვილად რევოლუციური, ალტერნატიული ბნელი ენერჯის კონცეფცია. მან გადაარჩინა კოსმოლოგია ჩიხში მოქცევას. ატმოსფეროს ფიზიკა დიდი ხანია, რაც ბნელ ჩიხში იმყოფება და სინათლე გვირახის ბოლოს არ ჩანს.

ეს სტატია აყალიბებს ახალი კონცეფციის საფუძველს ელექტროდინამიკის ძირითადი კანონების \_ მაქსველის განტოლებების ფიზიკური შინაარსის ინტერპრეტაციის შეცვლის გზით. კლასიკური ელექტროდინამიკის ტალღური განტოლებისა და კვანტური მექანიკის ძირითადი მუდმივის ერთობლივი ანალიზი ამტკიცებს, რომ მატერიის პირველადი უნივერსალური ელემენტები არის ელექტრული და მაგნიტური დისკრეტული ნაკადები. ანტენის მიერ გამოსხივებული ნებისმიერი ელექტრომაგნიტური ველი წარმოადგენს ამ ელემენტების პარალელურად დალაგებულ და მიმდევრობით ჩართულ ერთობლიობის პაკეტს. ელექტრული და მაგნიტური ელემენტები ურთიერთმოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია მაქსველის განტოლებებში წარმოდგენილი ენერჯეტიკული, ვექტორული, გეომეტრიული და სასაზღვრო პირობები. ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში სტრუქტურა იშლება კომპონენტებად. ფარული ენერჯია არის სწორედ ეს დაშლილი კომპონენტები. ელექტრული კომპონენტა შეიძლება აღმოჩნდეს ჩაკეტილი ატმოსფეროს ელექტროსტატიკური ველის პოტენციალურ “ტომარაში” და სტაციონალურად იარსებოს იქ განუსაზღვრელი ვადით. ჩვენ მას ვუწოდებთ **დროის საცობი** (ინგლისურად თიმეს შტოპპერ) [2]. შემდგომში ამ ობიექტის სახელი მოკლედ იქნება **სტოპერი**. ამგვარი სახელწოდების აზრი შემდეგია: სტრუქტურის საათი გაჩერებულია, მასში დრო არ მიედინება. ის ინახავს წარსულის ინფორმაციას. გარკვეულ პირობების შესრულების შემთხვევაში დრო ჩაირთვება და სტოპერი იწყებს ურთიერთმოქმედებას ჰაერის მოლეკულებთან. მისი უნიკალური თვისება არის ჰაერის სითბური ენერჯის აკუმულირება და გარდაქმნა სფერული ელვის, ელჭექის, ციკლონისა და ტორნადოს ენერჯიებად. ამ მოვლენებიდან თუ რომელი განვითარდება დამოკიდებულია სტოპერის მასშტაბებსა და სტრუქტურაზე.

სფერული ელვა, არის ატმოსფეროში ფარული ენერჯის არსებობის ძირითადი არგუმენტი. ეს იშვიათი და შედარებით დაბალენერგეტიკული მოვლენა გამოირჩევა სხვა ატმოსფერული მოვლენებისაგან თავისი იდუმალებით. მიუხედავად იმისა, რომ მისი თვისებები დეტალურად დადგენილია, ის მაინც რჩება აბსოლუტურად ამოუცნობ ობიექტად. ის წარმოადგენს უნიკალურ ობიექტს მკვლევარისათვის. ციკლონი, ტორნადო, ელჭექი შეიძლება მივაკუთვნოთ ნაწილობრივ ამოცნობილ ობიექტებს იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ისინი ამოცნობილ იქნებიან ბოლომდის თანამედროვე მეცნიერების კანონების ფარგლებში. სფერული ელვა იმით განსხვავდება ამ მოვლენებისაგან, რომ მან ყველა იმედები ამოუწურა მკვლევარებს. უკვე შექმნილია ორასამდე ჰიპოთეზა მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებში, მაგრამ ამაოდ, ამოცანა მაინც ამოუხსნელი რჩება. ამგვარი მდგომარეობა ვერ ჯდება სახეთა ამოცნობის ვერავითარ თეორიაში. საკმარისი არის უცნობი ობიექტის სამი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ოთხი სპეციფიკური ნიშან-თვისების დადგენა, რომ ეს ობიექტი ამოცნობილი იქნება. მაგრამ, როდესაც ცნობილია ასეულობით მახასიათებელი, ობიექტის ბუნება კი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაშინ უნდა აღიარებულ იქნას, რომ საქმე გვაქვს ღრმა კრიზისთან მეცნიერებაში. ძირითადი მიზეზი ამგვარი კრიზისისა არის მეცნიერული კვლევის პრინციპულად არასწორი მეთოდოლოგია. როგორც წესი, მეცნიერებაში დომინირებს ორთოდოქსალური პრინციპი: ნებისმიერი უცნობი მოვლენა უნდა ჩაჯდეს ცნობილი და აღიარებული კანონების ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ ყველა ჰიპოთეზები, რომლებიც გვაძლევს მოვლენათა ბუნების ნაწილობრივ ამოხსნას, სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. შედეგად ხდება სამეცნიერო კანონების დოგმად გადაქცევა და უნაყოფო ჰიპოთეზების წარმოქმნა.

ამ სტატიის ავტორმა გამოიყენა გარკვეული რისკის შემცველი პარადოქსული მეთოდოლოგია: მოვლენა კი არ უნდა ჩაჯდეს ცნობილი კანონების ჩარჩოებში, არამედ სამეცნიერო კანონი უნდა მოერგოს ბუნების მოვლენის მახასიათებლებს. მოვლენა უნდა დომინირებდეს კანონზე, და არა კანონი – მოვლენაზე. ეს მეთოდი ავტორმა გამოიყენა 40 წლის უკან, 1970-იან წლებში და მიიღო სფერული ელვის ბუნების ამომწურავი ამოხსნა [3, 4], მაგრამ წააწყდა ორთოდოქსალთა სასტიკ წინააღმდეგობას. მათთვის სრულიად მიუღებელი იყო ავტორისეული მეთოდოლოგია. 40 წლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა ახალი მეთოდის სიცოცხლისუნარიანობა. ფიზიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა დროის ამ მონაკვეთში. სიმები, ბნელი ენერჯია, არალოკალური ურთიერთმოქმედება და სხვა უცნაურობები, რომლებიც 70-იანი წლების ფიზიკისათვის სრულიად უცხო ხილი იყო, თეორეტიკოსთა არსენალის ძირითადი იარაღი გახდა. კოსმოლოგებმა სრულიად მოულოდნელად ცივი წყალი გადაასხეს 70-იანი წლების ორთოდოქსალთა თვითდაჯერებულ თავებს: მათ აღმოაჩინეს, რომ რაც ვიცით ამ სამყაროს შესახებ, არის მხოლოდ 4% იმისა, რაც რეალურად არსებობს. არა და გვეგონა, რომ ყველაფერი პირიქით იყო: ვიცოდით 96% და დაგვრჩა გასაგები სულ რაღაც 4% ნარჩენების სახით. რა არის 4%? ჩიტი ბდღვნად არ ღირს! ასეთი იყო იმ დროის საერთო განწყობა.

ახალი კონცეფცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სფერული ელვის ბუნების არაორდინალური ამოხსნით. მისი ზეგავლენის არეალი ვრცელდება მეცნიერების მთელ რიგ მიმართულებებში. კერძოდ, შესაძლებელია ელჭექის, ტორნადოს, ციკლონის (ტაიფუნის), სეტყვის პრობლემური მახასიათებლების ახლებურად ამოხსნა. როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ამ მოვლენების ბუნებას უკვე აქვს თავისი ნაწილობრივი ამოხსნები ჰიპოთეზების სახით. ნაწილობრივი ამოხსნა ორლესული მახვილივითაა: P ერთი მხრივ ის შეიძლება მიანიშნებდეს გზას, რომელიც მიგვიყვანს პრობლემის სრულ ამოხსნამდე, მაგრამ არის საშიშროებაც, რომ საქმე გვაქვს მაცდუნებელ მიმიკრიასთან, ჰიპოთეზური მოდელის მიმსგავსებასთან რეალურ ობიექტთან. შეიძლება დარწმუნებულად ითქვას, რომ სფერული ელვის ჰიპოთეზების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს მიმიკრიას, მათ არაფერი აქვთ საერთო ამ მოვლენასთან, თუმცა გარეგნულად ემსგავსება მას.

ციკლონი (ტაიფუნი) არის **სტოპერის** მიერ სკალარული ქაოსიდან გამოჩვეილი ვექტორული, ორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია უნარით ატმოსფეროს სითბო ინტენსიურად გარდაქმნას მუშაობად. თერმოდინამიკის მეორე ფუნდამენტური საწყისის თანახმად ამგვარი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება პირობები:

$$S_c = S_1 + S_2; \quad S_1 \gg S_2; \quad \Delta S_c = \Delta S_1 + \Delta S_2 \geq 0 \quad (1)$$

აქ  $S_c$ ,  $S_1$ ,  $S_2$  – ერთ მოცულობაში ორი დამოუკიდებელი სისტემის საერთო და ცალკეულ ენტროპიათა მნიშვნელობებია. თუ ამ სისტემებს შორის დამყარდა კავშირი, მაშინ მათ შორის დაიწყება ენტროპიების გათანაბრება, რაც გამოსახულია (1)-ს მესამე განტოლებაში. ამ განტოლებების ფიზიკური შინაარსი მარტივია: ორი სისტემიდან ერთერთი მათგანი უნდა იყოს ღუმელი, ხოლო მეორე – მაცივარი. აქედან ღუმელი ცნობილია: ეს არის ატმოსფერო. მისი ტემპერატურა  $T_f \approx 300^{\circ}K$ . რაც შეეხება მაცივარს, ის არის სწორედ სტოპერი, ფარული ენერჯია, რომელიც შემოყვანილ იქნა სფერული ელვის ბუნების ასახსნელად. მისი ტემპერატურა  $T_r=0^{\circ}K$ . ამგვარად, ერთი და იმავე მოცულობაში, ერთდროულად შეიძლება არსებობდეს “ღუმელი” და “მაცივარი” ნებისმიერი

ტემპერატურული სხვაობით. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ურთიერთ დემატერიალიზებული ობიექტებია. ამგვარი მდგომარეობა შეესაბამება ბოზე-აინშტაინის სტატისტიკის ძირითად პრინციპს სტაციონარული სისტემებისათვის და აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს სისტემები იმყოფება სხვადასხვა ენერგეტიკულ დონეებზე. მუხტი არის მესამე ობიექტი, რომელსაც შეუძლია შექმნას დამაკავშირებელი არხი. ერთი მხრივ ის მონაწილეობს ჰაერის მოლეკულების (დუმელის) თერმოდინამიკურ პროცესში და, იმავე დროს თავისი ელექტროსტატიკური ველით ჩართულია სტოპერის (მაცივრის) სტრუქტურაში. შედეგად ჩვენ ვღებულობთ ორმაგ, თერმოელექტროდინამიკურ არასტაციონალურ პროცესს: ჰაერის სითბური ენერგია გადაედინება სტოპერში და გროვდება იქ ელექტროენერჯის სახით. ეს პროცესი ექვივალენტურია კონდესატორის დამუხტვისა დენის წყაროს მიერ. აქ დენის წყარო არის იონების ქაოსური მოძრაობა, ხოლო კონდესატორები – სტოპერის ელემენტები. პროცესი ცალმხრივია, სტოპერი მიღებულ ენერჯიას უკან არ აბრუნებს. შედეგად აკუმულირებული ენერჯიის ზღვრულმა მნიშვნელობამ შესაძლებელია რამდენიმეჯერ გადააჭარბოს ჰაერის საშუალო სითბურ ენერჯიას. როგორც წესი, აკუმულირებული ენერჯიის მაქსიმალური მნიშვნელობის ზღვარი განპირობებულია ჰაერის მოლეკულების იონიზაციის პოტენციალით. როდესაც სტოპერის ელემენტში პოტენციალი მიაღწევს იონიზაციის დონეს, წარმოიქმნება სხვადასხვა ნიშნის წყვილი იონი. მათ შორის მოქმედებს ერთი შეხედვით პარადოქსული განზიდულობის ძალა:

$$F_c - F_s = 0 \pm F_d \quad (2)$$

აქ  $F_c$  – მუხტებს შორის მოქმედი კულონის ძალაა;  $F_s$  – სტოპერის მიერ შექმნილი განზიდულობის ძალა;  $F_d$  – ძალთა სხვაობა, რომელსაც ექნება ნულოვანი, დადებითი, ან უარყოფითი ნიშანი. როგორც წესი საწყის ფაზაში დომინირებს სტოპერის პოტენციალი და ამიტომაც სხვადასხვა ნიშნის მუხტები ერთმანეთისგან განიზიდებიან. ახლად წარმოქმნილი იონები ჰქვნიან ახალ კავშირებს დუმელსა და მაცივარს შორის. პროცესი ღებულობს ექსპონენციალურად მზარდ ხასიათს. ენერჯიის მაქსიმალური სისწრაფით გადაცემას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც მოლეკულების თავისუფალი გარბენის მანძილი გაუტოლდება სტოპერის ელემენტების კვითის დიამეტრს. ელემენტარული გათვლა გვიჩვენებს, რომ სტანდარტულ პირობებში იონი განიცდის რამდენიმე მილიარდ დაჯახებას ყოველ წამში მოლეკულების მხრიდან. ამ დროს ის მიიღებს მოლეკულებისაგან და გადასცემს სტოპერს საშუალოდ  $10^{12}$  ჯოულ ენერჯიას, რაც საკმარისია  $10^6$  წყვილი ახალი მუხტის წარმოსაქმნელად. ენერჯიის გადადენის სიჩქარე ჰაერიდან სტოპერში იზრდება გეომეტრიული პროგრესიის სისწრაფით:

$$S_n = \frac{a_1(q^n - 1)}{q - 1} \approx 4 \cdot 10^6 \quad (3)$$

$S_n$  – მუხტების ჯამური რაოდენობა დროის ერთეულში;  $a_1=2$  – პროგრესიის პირველი წევრი;  $n=10^6$  – პირველი მუხტის მიერ შექმნილი მუხტების რაოდენობა დროის ერთეულში;  $q=2$  – პროგრესიის მნიშვნელი.

პროცესი აფეთქების ტოლფასი დარტყმითი ხასიათისაა. სწრაფად კლებულობს ატმოსფეროს ენტროპია, ეცემა ჰაერის ტემპერატურა და წნევა, იზრდება წყლის ორთქლის კონდენსაცია. მოლეკულების ქაოსური, სკალარული მოძრაობა გარდაიქმნება ვექტორულ, დალაგებულ მოძრაობად, რაც იწვევს შკვალს, ციკლონს, ტორნადოს, სეტყვას. სტოპერში აკუმულირებული ენერგია გამოიყოფა ინტენსიური ელქექების სახით. ციკლონის თვალი არის სტოპერის სტრუქტურის თავისებურების შედეგი.

### ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Е. А. Шарков. Атмосферные катастрофы: эволюция научных взглядов и роль дистанционного зондирования. Институт космических исследований РАН. Интернет. 2004.
2. G. Berria. Ball Lightning and New Axiom. XIV International Conference of Atmospheric Electricity. Brazil, Rio De Janeiro, 2011.
3. g. beria. ra aris sferuli elva? "mecniereba da teqnika", #12, 1976.
4. G. Berria. On the Problem of Ball Lightning origin. Part 1. An Electric String Model. Part 2. The Explanation of the Specific Properties of Ball Lightning. Proceedings 6<sup>th</sup> International Symposium on Ball Lightning (ISBL99), Antwerp, Belgium, 1999.

უკ552

**ატმოსფერული კატასტროფები და მათი გამომწვევი მიზეზების ამოხსნა ატმოსფეროში ფარული ენერჯიის არსებობის დაშვებით.** /გ.ბერია/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 96-100.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ციკლონი, ტორნადო, ელქექი, სეტყვა, წყალდიდობა ატმოსფეროს სტიქიონის წარმონაქმნები ყოველწლიურად გადმოდიან შეტევაზე და ანადგურებენ ქალაქებს, ფლოტილებს, მოსავალს. ზარალი იზომება ასეულობით

მილიარდ დოლარებში, დაღუპულთა რაოდენობა მილიონობით ადამიანს აღწევს. თანამედროვე ცივილიზაცია ამჟამად ისევე უძლურია მათ წინაშე, როგორც უძველესი ის იყო წარსულ საუკუნეებში. ამგვარი მდგომარეობის ორი მიზეზი არსებობს: პირველი – ენერგეტიკული სისუსტე და მეორე – ინფორმაციის დეფიციტი. მიუხედავად შთამბეჭდავი პროგრესისა თანამედროვე ცივილიზაციას არ ჰყოფნის ენერგია, რომ გაუმკლავდეს სტიქიის შემოტევას. თანამედროვე მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ ამოხსნა სტიქიური კატასტროფების გამომწვევი მექანიზმების შინაგანი ბუნება.

ამ სტატიის მიზანია სწორედ სტიქიონის საიდუმლოებას ფარდა ახადოს, გახსნას მისი იდუმალი მექანიზმების ბუნება და ამით მისცეს ადამიანს შესაძლებლობა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს სტიქიის შემოტევას. იდეის არსი შემდეგია: ატმოსფეროში არსებობს ფარული ენერგია, რომელიც გარკვეულ პირობებში იწყებს ურთიერთმოქმედებას გარემოსთან, სითბოს ქაოსური ენერგია გადაჰყავს ორგანიზებულ ძალად და შედეგად იწყება კატასტროფები. ფარული ენერგიის ბუნება სავსებით შეცნობადია. დაბრკოლებას ჰქმნის მხოლოდ წარსული საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებული მცდარი, დოგმად გადაქცეული ზოგიერთი პოსტულატი.

UDC 552

**Atmospheric Catastrophes and Explanation of the Reasons of their Occurrence by an Assumption of Existence of the Latent Energy in Atmosphere.**/G.N.Berria/ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. - 2011. - т.117. – pp. 96-100. -Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ

The cyclone, tornado, thunder-storm, hails, flooding, these creations of atmospheric instability annually attack cities, flotillas, a crop. The damage is measured in hundreds billion dollars, the death-roll of people is estimated in millions. The modern civilization also is powerless before them, how they were helpless in last centuries. Two reasons explain such position: the first is power weakness. The second is deficiency of the information. The modern civilization has not energy to resist catastrophes. The modern science has not managed to penetrate in foundation of the reasons of instability.

The purpose of given article is attempt to open the secret of the mechanism leading to catastrophes and to give the chance to the peoples to resist adequately them. Essence of ideas in the following: the latent energy is in earth atmosphere which can start to interact with environment. It will transform the thermal energy of air in the organized force and, as consequence, catastrophes begin. The nature of the latent energy quite gives in to an explanation in classics limits. A problem is created by some erroneous postulates inherited from the last century in the form of firm dogmas.

УДК 552

**Атмосферные катастрофы и объяснение причин их возникновения допущением существования скрытой энергии в атмосфере.**Г. Н. Берия/Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии.– 2011.–т.117.–с.96-100.–Груз.;Рез.Груз.,Анг., Рус.

Циклон, торнадо, гроза, град, наводнение, эти порождения атмосферной стихий ежегодно атакуют города, флотилии, урожай. Ущерб измеряется в сотни миллиардах долларов, число погибших людей исчисляется миллионами. Современная цивилизация также бессильна перед ними, какой беспомощной она была в прошлых столетиях. Две причины объясняют такое положение: первое это энергетическая слабость. вторая – дефицит информации. У современной цивилизации не хватает энергии, чтобы противостоять стихий. Современная наука не сумела вникнуть в сущность природы порождающей катастрофы.

Цель данной статьи как раз и является попытка раскрыть тайну механизма катастроф и дать человеку возможность достойно противостоять им. Сущность идей в следующем: в атмосфере земли существует первичная скрытая энергия, которая начинает взаимодействовать с окружающей средой. тепловую энергию воздуха преобразует в организованную силу и, как следствие, начинаются катастрофы. Природа скрытой энергии вполне поддается объяснению в пределах классики. Проблема создается некоторыми ошибочными постулатами, полученными по наследству из прошлого века в виде незыблемых догм.